ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 17 ნოემბრის

რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2024 წლის პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის განხილვის ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 17 . ნოემბრის რიგგარეშე სხდომის

ოქმი N17

2023 წლის 17 ნოემბერი

დაბა ხარაგაული

9 აპრილის ქუჩა #15

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: დავით კიკნაძე, პაატა გოგოლაძე, ამირან ოქრომჭედლიძე, ბესიკ კვირიკაშვილი, პავლე კიკალიშვილი, შმაგი ხიჯაკაძე, შალვა ლურსმანაშვილი, თორნიკე ავალიშვილი, ირმა ვაქერ - სებისკვერაძე, უშანგი ბერაძე, კიაზო გამრეკელაშვილი, ვერა ოდიკაძე, მერაბ ტალახაძე, ლენა აბაშიძე, გოჩა გიორგიძე, ვახტანგ ტალახაძე, ავთანდილ ვეფხვაძე, ეკატერინე შველიძე, კობა გოგსაძე, ირმა ვეფხვაძე, კონსტანტინე ბერაძე სულ საკრებულოს 23 წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენლები:

ვარლამ ჭიპაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე,

ვლადიმერ გელაშვილი მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

ნინო მაღლაკელიძე მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის განყოფილების უფროსი.

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ლენა კალანდაძე საკრებულოს აპარატის უფროსი,

ნინო თხელიძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში,

ივანე ჭიპაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე,

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

ეკა შავიძე ა (ა) ი, პ. მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის ხელმძღვანელი,

ი. ბერაძე მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი

სულიკო გლუნჩაძე ოპერატორი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, მან საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის შემდეგი დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1. **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2024 წლის პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის განხილვის ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ**

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 23 წევრი.

მომხრე 23

წინააღმდეგი

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვლადიმერ გელაშვილის ინფორმაცია საკითხზე **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2024 წლის პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის განხილვის ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ** (თან ერთვის).

მან საკრებულოს წევრებს მოკლედ გააცნო 2024 წლის ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები და ის პრიორიტეტები, რომლების გათვალისწინებული იქნება 2024 წელის ბიუჯეტში.

აზრი გამოთქვეს:

თორნიკე ავალიშვილმა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემრომელმაც მოითხოვა ბიუჯეტში გათვალისწინებული იყოს პირველ კლასელთა კვების დაფინანსება

ვ. ჭიპაშვილმა განმარტა, რომ აღნიშნული საკითხი მოითხოვს შეთანხმებას მეცნიერებისა და განათლების სამინისტროსთან, წინადადების ჩამოგზავნის შემთხვევაში გადაიგზავნება აღნიშნულ სამინისტროში.

საკრებულოს წევრებმა: ვ. ოდიკაძემ და ლ. აბაშიძემ, რომლებიც სკოლის დირექტორები არიან განმარტეს, რომ ეს არის ძალზე რთული პროცესი და ასე მარტივად ვერ გადაწყდება თუმცა იდეა კარგია.

კ.გოგსაძემ საკრებულოს წევრმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ აღნიშნა, რომ ზამთარი მოვიდა და ხალხი ვერ ახერხებს საშეშე მერქნის მოპოვებას, ძალიან პრობლემური საკითხია იქნებ მვიწვიოთ სატყეო დეპარტამენტის წარმომადგენელი და გავიგოთ რას გეგმავენ.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ბიუჯეტის განხილვის ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე და კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 23 წევრი.

მომხრე 23

წინააღმდეგი

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**